ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95230274**

თარიღი:**27/01/2023**

ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე“ ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1.ქედის მუნიციპალიტეტის სარგებლობაში რეგისტრირებული, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 21.08.33.271) არსებული N02/2 - 97,77 კვ.მეტრი შენობა-ნაგებობა, (რომელიც წარმოადგენს ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმს, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 188287,47 (ასოთხმოცდარვაათას ორასოთხმოცდაშვიდ ლარი და 47 თეთრი) ლარს) პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში, (2014 წლის 22 აპრილის ქედის მუნიციპალიტეტსა და მოქალაქე ზაზა ხალვაშს შორის დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მოქმედების ვადით) უსასყიდლო თხოვების ფორმით ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმი“-სათვის გადაცემაზე მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს - როლანდი ბერიძეს.

2.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს - როლანდი ბერიძეს

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი